

ბანმარტეპითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ცალკეული კონსტიტუციური დებულებების სრულყოფისა და დახვეწის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის დამოუკიდებლობის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების ახალი საკონსტიტუციო გარანტიების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

შემოთავაზებული კონსტიტუციური ცვლილებების კანონის პროექტი ითვალისწინებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის დამოუკიდებლობის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების ახალ საკონსტიტუციო გარანტიებს. პრეზიდენტის მიერ საპრეზიდენტო უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში პარლამენტის ორჯერ დათხოვნის შემთხვევაში ამომრჩევლის წინაშე დგება ნდობის გადაწყვეტის საკითხი და შესაბამისად ტარდება ხელახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს ასევე პრეზიდენტისთვის სასამართლო ხელისუფლებაში საკადრო საკითხების გადაწყვეტისადმი ახლებური მიდგომა. პრეზიდენტს არ ექნება საერთო სასამართლოს სისტემის მოსამართლეთა დანიშვნა და განთავისუფლების პრეროგატივა. აღნიშნული საკითხი დარეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონით. პრეზიდენტის კომპეტენცია სასამართლო ხელისუფლებაში კონსტიტუციური პოლიტიკის გატარებაში შემოიფარგლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობით. აღნიშნული კონსტიტუციური ნოვაციით ფაქტობრივად საფუძველი ეყრება საქართველოს პრეზიდენტის, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის ახალ ინსტიტუციურ მიმართებას სასამართლო ხელისუფლებისადმი, რაც აამაღლებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და ეფექტურობას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილებების თანახმად კონსტიტუციური ნორმებით აღარ იქნება მოწესრიგებული ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების გათავისუფლების წესი და აღნიშნული საკითხი დარეგულირდება კანონით.

კანონპროექტით გათვალისწინებულია კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში მორიგი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ახალი თარიღის დადგენა, რაც 2008 წლის საშემოდგომო პერიოდით განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილება ერთის მხრივ განპირობებულია საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოთავაზებული ხელისუფლებებს შორის დამოუკიდებლობის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების

ახალი საკონსტიტუციო გარანტიების ერთდროული ამოქმედებით, მეორეს მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური პროცესების ტრადიციულ კონსტიტუციურ-პოლიტიკურ რეჟიმში დაბრუნების აუცილებლობით. არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი როგორც საბიუჯეტო, ისე საარჩევნო სუბიექტთა სახსრების ეკონომიის, თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო კამპანიის წარმართვის ხანგრძლივობის და პერიოდულობის ეფექტიანობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონის პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი
კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.